



449/1

15.12.2014

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს "RMG Gold"-ის (ყოფილი შპს „კვარციტი“) წიაღით
სარგებლობის ლიცენზია (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC) ბოლნისის უგუფის ცნობილი
საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე გაიცა 1994 წლის 7 აპრილს,
2014 წლის 7 აპრილამდე მოქმედების ვადით.

ვინაიდან, 2006 წლის 30 მარტიდან „საყდრისის“ საბადოს სალიცენზიო ფართობში მოქმედ
„ყაჩაღიანის“ უბანს მიეწევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი,
ლიცენზიანტი ვეღარ ახდენდა სალიცენზიო ტერიტორიის ზემოაღნიშნული და მიმდებარე
უბნების სრულ სამრეწველო ათვისებას. ძეგლთა ნუსხაში უსაფუძვლოდ შეტანის გამო 2013
წლის 5 ივლისს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი
გადაწყვეტილება კანონდარღვევის გამოსწორების მიზნით. ამავდროულად, საქართველოს
მთავრობის 04.04.2014წ. #593 განკარგულებით ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2015
წლის 1 იანვრამდე. მაგრამ, შესაბამისი აქტების ადმინისტრაციული და სასამართლო წესით
გასაჩივრების გამო კომპანიას კვლავ არ მიეცა ლიცენზიით განსაზღვრული
უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობა, მაშინ, როცა მარაგების
სახელმწიფო კომისიაზე დამტკიცებული და სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი „საყდრისის“
საბადოს ოქრო-სპილენძის მადნები მოიცავდა „ყაჩაღიანის“ ბორცვის მარაგებსაც და მის
საფუძველზე შესაბამის სახელმწიფო უწყებებში წარდგენილი საბადოს დამუშავების გეგმა
წარმოადგენდა წლებზე გაწერილ ღონისძიებებს, რაც როგორც აღნიშნეთ, ვერ
განხორციელდა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ლიცენზიის მოქმედების თავდაპირველი პერიოდის (07.04.1994წ.-დან 07.04.2014წ.-მდე)
განმავლობაში წიაღით სარგებლობის შეზღუდვა მოქმედებდა 8 წლისა და 8 დღის მანძილზე,
კერძოდ 30.03.2006წ.-დან 07.04.2014წ.-მდე. აქედან, მთავრობის ზემოხსენებული
განკარგულებით ლიცენზიის მოქმედება პირველ კერზე გაგრძელდა მხოლოდ 8 თვითა და
24 დღით. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის
12.12.2014წ. #03/266 ბრძანებით, აგრეთვე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 12.12.2014წ. #2/271 ბრძანებითა
და 12.12.2014წ. #12/09/1885 წერილით კომპანიას მიეცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური
ობიექტის ალების (დაშლის) თანხმობა, რის საფუძველზედაც კომპანიამ არქეოლოგიური

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
15.12.2014

ობიექტის დაშლა და საბადოს #1 უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განახლება შეძლო მხოლოდ 2014 წლის 13 დეკემბერს. ცხადია, რომ დროის სიმწირის გამო, 2015 წლის 1 იანვრამდე დარჩენილი ლიცენზიის მოქმედების დრო არ არის საკმარისი საბადოს სრული სამრეწველო ათვისებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ 61 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე, რათა სამინისტროს შუამდგომლობითა და საქართველოს მთავრობის თანხმობით, შეზღუდვის პერიოდის გათვალისწინებით კვლავ გაგვიგრძელებდეს #0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 21 აპრილამდე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ჩვენზე გაცემული №1002122 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების დასრულების ვადის მითითებული დროით გადავადებას.

პატივისცემით,



დავით ბალანჩივაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

